



10618/3-53/21 2 25102021

10618/3-53/21
25-10-2021

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია თუ რამდენჯერ გამოგზავნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საკითხზე მოსამართლის მიერ განჩინებით მიღებული გადაწყვეტილება 2017 წლიდან დღემდე. გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია გამოგვიგზავნოთ:

1. ჩაშლილად წლების მიხედვით;
2. განმარტოთ რამდენი შუამდგომლობა დააკმაყოფილა სასამართლომ და რამდენი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე თქვა უარი.
3. რამდენ შემთხვევაში დაიწყო გამოძიება გადაუდებელი აუცილებლობით მოსამართლის განჩინების გარეშე პროკურორის მოტივირებული დადგენილების საფუძველზე და აქედან რამდენ შემთხვევაში ცნო მოსამართლემ ჩატარებული/მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ.
4. სისხლის სამართლის კოდექსის რომელ მუხლებს ეხებოდა გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებები.
5. ასევე გთხოვთ, მომაწოდოთ ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების კონტროლის სფეროში განხორციელებული საქმიანობის შესახებ;
6. და სტატისტიკურ მონაცემები ინსპექტორის უფლებამოსილებების სფეროში მიმდინარე გამოძიების შესახებ.

გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მომაწოდოთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ვადებში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თამარ კორძაია



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური
State Inspector's Service



15/11/2021



SIS 2 21 00028532

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ქალბატონ თამარ კორძაიას

ქალბატონო თამარ,

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა განიხილა თქვენი 2021 წლის 25 ოქტომბრის №10618/3-53/21 მომართვა (სამსახურში რეგისტრაციის №26286; 26/10/2021). იქიდან გამომდინარე, რომ მომართვაში ითხოვთ ექვსი სხვადასხვა მიმართულებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის/სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რამდენიმე წლიან მუშაობასთან დაკავშირებით, მათ შორის, სტატისტიკურ ინფორმაციას, რისი დამუშავებაც მოითხოვს 15 დღეზე მეტ ვადას, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით, კითხვაზე პასუხის გაცემის ვადა გაგრძელდეს 10 დღით.

პატივისცემით,

ლონდა თოლორაია

სახელმწიფო ინსპექტორი



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური
State Inspector's Service



17/11/2021



SIS 2 21 00028785

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ქალბატონ თამარ კორძაიას

ქალბატონო თამარ,

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა განიხილა თქვენი 2021 წლის 25 ოქტომბრის №10618/3-53/21 მომართვა (სამსახურში რეგისტრაციის №26286; 26/10/2021), რომლის პასუხად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგინებ:

- თქვენი მომართვის პირველი და მე-2 პუნქტებით მოთხოვნილ ინფორმაციას, 2017 წლიდან 2021 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში წარმოდგენილი მოსამართლის განჩინებების რაოდენობისა და აღნიშნული განჩინებებით მიღებული გადაწყვეტილებების (დაკმაყოფილების, ნაწილობრივ დაკმაყოფილების, დაკმაყოფილებაზე უარის თქმის) შესახებ (ინფორმაცია მოცემულია დანართი №1-ში);
- თქვენი მომართვის მე-3 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას, 2017 წლიდან 2021 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში წარმოდგენილი პროკურორის დადგენილებების რაოდენობის შესახებ (ინფორმაცია მოცემულია დანართი №2-ში);
- თქვენი მომართვის მე-5 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედებების შეჩერებისა და ბუნდოვანება-უზუსტობასთან დაკავშირებით განხორციელებული შეტყობინების რაოდენობის შესახებ (ინფორმაცია მოცემულია დანართი №3-ში);
- თქვენი მომართვის მე-6 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას, 2019 წლის პირველი ნოემბრიდან 2021 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ დაწყებული გამოძიების შესახებ. კერძოდ: 2019 წლის პირველი ნოემბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე გამოძიება დაიწყო 68 სისხლის სამართლის საქმეზე, 2020 წელს - 270 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო 2021 წლის პირველი იანვრიდან 2021 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით - 304 სისხლის სამართლის საქმეზე.

აქვე, გაცნობებთ, რომ 2017 წლიდან დღემდე ფარული საგამომიებო მოქმედებების ჩატარებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლის („სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი) ფარგლებში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს/სახელმწიფო ინსპექტორს მიღებული აქვს 42 (ორმოცდაორი) გადაწყვეტილება (ასევე, ამჟამად მიმდინარეობს მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლა 3 შემთხვევაზე). მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის ფარგლებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დადგენისას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ მონაცემთა დამუშავებლებს დაეკისრათ ადმინისტრაციული სახდელი, ასევე მათ მიეცათ რეკომენდაციები და შესასრულებლად სავალდებულო დავალებები.

რაც შეეხება თქვენი მომართვის მე-4 პუნქტს, გაცნობებთ, რომ ფარული საგამომიებო მოქმედებების გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებასთან დაკავშირებული სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში წარმოდგენილი პროკურორის დადგენილებები ეხებოდა ფარული საგამომიებო მოქმედებების ჩატარებას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულ სხვადასხვა დანაშაულს (სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში აღნიშნული ინფორმაცია დეტალური სახით არ არის დამუშავებული/დაცული).

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სამსახურის მიერ განხორციელებული სხვა ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის/სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წლიურ ანგარიშებში შემდეგ ბმულზე - <https://www.personaldata.ge/ka/about-us>.

აქვე საყურადღებოა, რომ გარდა ზემოაღნიშნულისა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური სტატისტიკურ ინფორმაციას სხვა ფორმით არ აწარმოებს. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143¹⁰ მუხლის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლო ადგენს ფარული საგამომიებო მოქმედებების რეესტრს, რომელშიც აისახება ფარულ საგამომიებო მოქმედებებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები - ინფორმაცია ფარული საგამომიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით სასამართლოებში შესული შუამდგომლობებისა და სასამართლოს მიერ მათზე მიღებული განჩინებების შესახებ.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი.

პატივისცემით,

ლონდა თოლორაია

სახელმწიფო ინსპექტორი

A handwritten signature in blue ink, consisting of several overlapping, stylized strokes that form a cursive script. The signature is positioned in the upper right corner of the page.